გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 41
(11 498)

29 – 31 მაისი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენს სპორტულ სამყაროში

«ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

გასულ დღეებში საქართველოს სპორტული ცხოვრების რიტმი არ განელებულა, პირიქით, ერთობ დატვირთულიც იყო სხვადასხვა ღონისძიებებით, ძირითადად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისადმი მიძღვნილი შეჯიბრებებით. გამოირჩეოდა თბილისი, სადაც ზეიმის გვირგვინი, „ლოკომოტივის“ შესანიშნავი სტადიონის გახსნის ცერემონიალი იყო.

ამ დღეებში გააქტიურდა მითქმა-მოთქმა, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს და პირად მინისტრს გადაწყვეტილი აქვს თბილისის სპორტის და ტურიზმის საქალაქო სამსახურთან შეერთებული ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები ისევ განათლების სისტემაში დააბრუნოს. ახლა შეიძლება ასეც სჯობს. ცხადია, თუ იმ 60 მილიონი კრედიტიდან, რომელიც მსოფლიო ბანკმა გამოყო ჩვენი განათლების სისტემის რეფორმისთვის, ბავშვთა სპორტსაც არ დაივიწყებენ.

ფინანსურად ისევ უჭირს ქართულ სპორტს. ველოსპორტის, კრივისა და ტანვარჯიშის ფედერაციებს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გარიცხვა ემუქრებათ საწევროს გადაუხდელობისთვის. ახლოვდება საქართველოს მოსწავლეთა პირველი თამაშები, თანხები კი არ ჩანს.

მოკრივეები მსოფლიო ჩემპიონატის წინ საწვრთნელ შეკრებაზე თურქეთში იმყოფებიან, კალათბურთელთა ნაკრები სლოვენიაში ამ ქვეყნის ნაკრებთან გადის ერთობლივ წვრთნას. სპორტის ზამთრის სახეობების წარმომადგენლები კი მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ავსტრიასა და იტალიაში ემზადებიან...

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲗ

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ, თხოვნით მიმართა თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა მან მიიღოს დამატებითი ზომები საქართველოში იტალიის ეროვნული ნაკრების მატჩთან დაკავშირებით. როგორც წუხელ გავრცელდა ინფორმაცია, იტალიელები განსაკუთრებით აუღელვებია კახი კალაძის ძმის — ლევან კალაძის გატაცებას. „რომასთან“ მატჩში კახი კალაძეს მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა. ამ მატჩის შემდეგ (1-1) ქართველ ფეხბურთელს განუცხადებია: „ახლა მე ძალიან ვღელავ ჩემი ძმის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გამო. ჯერ კიდევ არ გამოვსულვარ შოკური მდგომარეობიდან, რაც თან მსდევს ჩემი ძმის მოტაცების შემდეგ“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ – ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲘᲡ ᲩᲐᲨᲚᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები შეშფოთებულია კახი კალაძის ძმის ლევან კალაძის გაუჩინარებით. როგორც ირკვევა, გამტაცებლები გამოსასყიდ თანხას — 600 ათას დოლარს ითხოვენ. ჩვენი ფეხბურთელები, ნაკრებში თანაგუნდელი კახი კალაძისადმი სოლიდარობის გამოსახატავად, აცხადებენ, რომ იტალიასთან მატჩში მოედანზე არ გავლენ თუ გატაცებულ ლევან კალაძეს შინ არ დააბრუნებენ.

გამოუვალ მდგომარეობაშია შს სამინისტრო და პროკურატურა, რომლებიც კალაძის ოჯახს და საზოგადოებრიობას იმით ამშვიდებენ, რომ ყოველ ღონეს მიმართავენ და ვერსიებს ამოწმებენ. ქვეყნის პრეზიდენტმა გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, თითქოს ლევან კალაძე, სადღაც ახლოში ჰყავთ გამტაცებლებს.

მომხადრით შეშფოთებულია მსოფლიოს საფეხბურთო სამყარო. უცხოეთის პრესაში გუშინ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ფიფა საქართველოსგან კატეგორიულად მოითხოვს ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების ანალიზს.

ᲕᲘᲔᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ

„ინტერის“ თავდამსხმელი კრისტიან ვიერი „ლაციოსთან“ მატში დაშავდა და თბილისში გამოსამგზავრებელ იტალიის ეროვნულ ნაკრებს გამოაკლდა. მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ სასწრაფო ზომებს მიმართა და ნაკრებში გამოიძახა მარკო დელვეკიო.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲘᲪ ᲥᲣᲗᲐᲗᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲐ!

4

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲯᲝᲑᲔᲡ...

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲜᲐᲠᲔᲕᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲜᲐᲠᲔᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ...

ნოღაიდელი (შაუში) სპორტთანაა!

● პარლამენტმა მესამე წაკითხვით მოასმენინა მთავრობას ფეხბურთის თამაშის გაკვეთილი.

● **მთავრობის საფეხბურთო გუნდში ცვლილებები ისევე არაეფექტური იყო, როგორც უშუალოდ ეს მთავრობის გუნდში ხდება.**

● მთავრობის გუნდი ერთიანი არც მოედანზე იყო, გუნდური პასუხისმგებლობა არც მოედანზე იგრძნობოდა.

● **ფეხბურთი მინისტრის კაბინეტი არაა, ფიქრი უნდა!**

● ვთამაშობთ, მაშასადამე ვაზროვნებთ, ივერია გაბრწყინდება!

● **პარლამენტარები და მთავრობა ხშირად არღვევენ თამაშის წესებს, მსაჯის სასტვენი კი ჯიუტად დუმდა!**

● მეტოქეებმა შესანიშნავი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება გამოავლინეს, ქვეყანამ დაინახა მათი დაოკებული სწრაფვა გამარჯვებისკენ!

● **პარლამენტის უმრავლესობამ და ოპოზიციამ დაამტკიცა, რომ ერთ გუნდად უფრო ადვილად შეუძლიათ ლელოს გატანა.**

● მთავრობას, როგორც ყოველთვის, დრო არ ეყო...

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ, ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲛᲐ ᲒᲐᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐ!

5

ეს ტიტული სამეფო კლუბმა ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვა გაანადგურა რა საკუთარ მოედანზე „ალავესი“. თეორიულად მხოლოდ „დეპორტივოს“ აქვს შანსი დაეწიოს ჩემპიონს, მაგრამ თუნდაც ქულათა გათანაბრების შემთხვევაშიც კი, სიტუაცია არ შეიცვლება. პირად შეხვედრებში წინ „რეალია“.

უეფას თასის ფინალისტთან "ალავესთან" ეს მატჩი „რეალის“ აშკარა უპირატესობით წარიმართა. პირველი ტაიმის შუალედში, სულ რაღაც ერთ წუთში, რაულმა და გუტიმ თითო გოლი გაიტანეს და ფაქტობრივად წელში გატეხეს მეტოქე. მეორე ტაიმში იერომ, ელგერმა და ისევ რაულმა შეარხიეს „ალავესის“ კარის ბადე და წერტილი დაუსვეს მატჩს — 5-0. ამ გამარჯვებამ „რეალს“ 28-ედ მოუტანა ჩემპიონობა და პირველად 1997 წლის შემდეგ.

გამოაცხადებს თუ არა თბილისის მერია 2001 წლის ზაფხულს ბავშვებისათვის ცურვის მასობრივად შესწავლის ზაფხულად?

მონაკოს გრან-პრი შუამავრეა მოიგო

8

SOS

3

ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ!

დღეს, 29 მაისს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი ტრადიციულ პრესკონფერენციას გამართავს ჟურნალისტებისთვის. დასაწყ. 13 საათზე.



მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 3 თვე დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 8 თვე და 10 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის მიმართვა

ოლიმპიური მოძრაობის სახელით მსურს გულითადად მივესალმო ტრადიციული ოლიმპიური რბენის დღის ყველა მონაწილეს. ეს ყოველწლიური ღონისძიება უკვე 1987 წლიდან ტარდება ყველა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ და მხიარულებითა და სპორტული სულისკვეთებით აღსავსე, სხვადასხვა ასაკისა და საზოგადოებრივი ფენის მილიონობით ადამიანს უყრის თავს.

ოლიმპიური დღე ეძღვნება პარიზში, 1894 წლის 23 ივნისს სორბონის უნივერსიტეტში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებას ბარონ პიერ დე კუბერტენის მიერ. მისი 107-წლიანი არსებობის მანძილზე ოლიმპიზმის მიზანი კვლავ იგივე რჩება: საყოველთაოდ სპორტის გამოყენება პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის და პიროვნული ღირსების დამცველი მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბება.

თამაშების ისტორიაში საუკეთესო, სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ოლიმპიური მოძრაობა რამდენიმე თვეში აღნიშნავს ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს სოლთ ლეიკ სითიში. ახალი ათასწლეულის ეს პირველი ზამთრის ოლიმპიადა ტოლერანტობის სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლო გახდება.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულ ენთუზიასტების ამ საერთაშორისო წელს, ოლიმპიური მოძრაობის კიდევ ერთი მოვალეობაა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში პატივი მიაგოს მილიონობით ენთუზიასტს, რომელთა გარეშეც მართლაც შეუძლებელი იქნებოდა სპორტის, ისევე როგორც ოლიმპიური განათლების განმტკიცება ან ოლიმპიური თამაშების ჩატარება.

რამდენადაც ჩემი საპრეზიდენტო მანდატის ამოწურვის წინ ეს ბოლო მიმართვაა ოლიმპიური რბენის დღესთან დაკავშირებით, მსურს გულითადი მადლიერება გამოვხატო სპორტის ხელმძღვანელებისა და სპორსტმენების მიმართ ოლიმპიური იდეალების განმტკიცებაში შეტანილი მათი განსაკუთრებული წვლილისათვის.

დიდ წარმატებას ვუსურვებ 2001 წლის ოლიმპიური რბენის დღის ყველა მონაწილესა და ორგანიზატორს.

მარკიზი სამარანჩი

ემზადეთ კვირეულისათვის

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ოლიმპიური დღის აღსანიშნავად, ჩვენს ქვეყანაში ჩაბარდება „ოლიმპიური კვირეული". პროგრამაშია: შეჯიბრებები სპორტის მასობრივ სახეობებში (18-24 ივნისი) და მასობრივი მძლეოსნური გარბენი (23 ივნისი).

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით

საქართველოში სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარებაში, მის პოპულარიზაციასა და ახალგაზრდა სპორტსმენთა მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი ***გივი ცქიტიშვილი*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს მიეძღვნა დიდი სპორტული ზეიმი თელეთში, რომლის პროგრამაში ქართული ჭიდაობაც იყო. გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, შეჯიბრებები მაღალ დონეზე ჩატარდა და ბევრი მაყურებელიც დაესწრო.

რობერტ ბაგოიანის ფოტო

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა **საქართველოს ჭაბუკთა პირველობა**

ზესტაფონს მასპინძლობა არ ეშლება

ზესტაფონი ტრადიციულად სხვადასხვა დონის შეჯიბრებებით მიაგებს ხოლმე პატივს ამ რაიონის მკვიდრის, წარსულში ცნობილი ფალავნის მიშიკო მაჩაბლის ხსოვნას. ამ დღეებში მემორიალი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის საქართველოს პირველობით აღინიშნა. შეჯიბრებაში 15 რაიონის და ქალაქის 18 გუნდი მონაწილეობდა. ასპარეზობას ესწრებოდნენ თბილისიდან და ქუთაისიდან მოწვეული ვეტერანი ფალავნები, მათ შორის მიშიკო მაჩაბლის შვილი, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე.

რაიონის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა პირველობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. მონაწილეებს მიესალმა ზესტაფონის გამგებელი ჯემალ გორგოძე, საკრებულოს თავმჯდომარე შალვა თავაძე, პარლამენტარი დავით კოვზირიძე. გამარჯვებულები და პრიზიორები სიგელებით, პრიზებით და ფასიანი სიგელებით დააჯილდოვეს.

კვარცხლბეკი. ***29 კგ:*** 1. თორნიკე გამთენაძე (ქუთ. ლიც), 2. სულხან ჭოჩიაშვილი, 3. გიორგი რობაქიძე (ორივე — თერჯ); ***32 კგ:*** 1. ირაკლი მემანიშვილი (ქუთ. განათ), 2. დავით ზაზუნიშვილი, 3. იოსებ ტოტიაშვილი (ორივე — მარტყ), ***35 კგ:*** 1. თორნიკე მაჩიტაძე (ზესტ), 2. თორნიკე დანელია (სენაკი), 3. ლევან კირკიტაძე (ზესტ); ***38 კგ:*** 1. რეზო ლაშხი (ბორჯ), 2. არსენ კახაბრიშვილი (მარტყ), 3. ზურაბ ჩიხლაძე (ზესტ); ***42 კგ:*** 1. ანტონ ნიკოლიშვილი (მარტყ), 2. ამირან შალამბერიძე (ზესტ), 3. მიხეილ ჯანიაშვილი (რუსთ); ***46 კგ:*** 1. გიორგი ჩხენკელი (ქუთ. ლიც.), 2. ირაკლი ჩიქობავა, 3. ნესტორ კვირკველია (ორივე — სენაკი); ***50 კგ:*** რომან ჩუბინიძე (ქუთ. განათ), 2. ნოდარ გეგეშიძე (ბორჯ), 3. ალექსანდრე ზვიადაძე (ხარაგ); ***54 კგ:*** 1. მიხეილ სამხარაძე (ლანჩხ), 2. ლევან კეთილაძე (ქუთ), 3. ალეკო გაგოშიძე (ხარაგ); ***58 კგ:*** 1. გიგა მესხი (ქუთ. დინ), 2. ნოდარ შავიძე (ზესტ), 3. ბაქარ კირტავა (წყალტ); ***66 კგ:*** 1. ბუბა რობაქიძე (ზესტ), 2. დიმიტრი ფორჩხიძე (თერჯ), 3. დავით ქარჩავა (თბ). ბუბა რობაქიძეს გადაეცა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი, რომელიც დაეწესა და გამარჯვებულს გადასცა ახალგაზრდებს შორის სამბოში მსოფლიო ჩემპიონმა ნიკა წაქაძემ. ***73 კგ:*** 1. მიხეილ ყურაშვილი (ქუთ. განათ), 2. ვახტანგ თურქაძე (თერჯ), 3. ომარ სულაბერიძე (ქუთ. ლიც); ***85 კგ:*** 1. ალექსანდრე წიწილაშვილი (ზესტ) — გადაეცა მთავარი ჯილდო — მიშიკო მაჩაბლის პრიზი და პრიზი ლამაზი ჭიდაობისთვის, 2. ავთანდილ ჟორჟოლიანი (ქუთ.), 3. ზურაბ სახლთხუცეშვილი (მარტყ); ***100 კგ:*** 1. ზურაბ ხაჭაპურიძე (ქუთ. დინ), 2. რაულ ცხადაძე (თერჯ), 3. ირაკლი ფარულავა (სენაკი).

„ლელოს" კორ.,
ზესტაფონი

დეგუსტანტი

ფიგურული ციგურაობა

ელენე გედევანიშვილი

დაიბადა 1990 წელს, თბილისში
არის 64-ე საშ. სკოლის IV კლასის ფრიადოსანი მოსწავლე
ფიგურულ ციგურაობაში მეცადინეობს 4 წლის ასაკიდან
თბილისის საციგურაო სკოლის აღსაზრდელია
მწვრთნელი თამარ ანჯაფარიძე
მიღწევები: საქართველოს ჩემპიონი მოზარდთა შორის; ერევნის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული თავის ასაკში; ამას წინათ, მოსკოვში პროფკავშირების ღია ჩემპიონატში დაიკავა I ადგილი. ბოლო ერთი წელიწადია, უკვეთ მომზადების მიზნით, თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის, და ჩვენი ფედერაციის ხელშეწყობით, მეცადინეობს მოსკოვში მარინა სილიცკაიას ჯგუფში. სპეციალისტები აღფრთოვანებულნი არიან ქართველი გოგონას პერსპექტივით.
ამჟერად არდადეგებზეა თბილისში — ივლისამდე.

ვაღლიანი ქალბატონი!

ოჯახში კარგი დიასახლისის მადლზე, ყველას მოგეხსენებათ. სამსახურიც ოჯახია ბევრისთვის, თავს ყველა ბედნიერად თვლის იქ, სადაც ერთი საქმის სამსახურში ჩამდგარ ხალხს, კარგი „დიასახლისი" ჰყავს. ნათქვამს უდავოდ დაგვიდასტურებენ თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.

საქმისთვის სამაგალითოდ თავდადებული, უაღრესად კომუნიკაბელური, დაუდგრომლად ენერგიული, ადამიანების მოსიყვარულე, მათი ტკივილის გამზიარებელი, მუდამ თანამდგომი, ბუნებით ალალი — აი, როგორია ყველასათვის ესოდენ საყვარელი ქალბატონი მარინა თარხნიშვილი!

ცხადია, ასეთ ადამიანზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ თავაზიანი კატეგორიული უარით გამოგვეპასუხა შეთავაზებაზე, ესეც მისი დიდბუნოვნების დასტურია.

სხვა რა დაგვრჩენია, დღეგრძელობა და დღემზეობას, სიკეთის გზით უსასრულოდ სიარულს გისურვებთ, თავად როგორც იტყვი ხოლმე სხვებზე, — ძვირფასო!

მეგობრები

საქართველოს „უნივერსიადა 2001"

ქართული ჭიდაობა. გორი

56 კგ: 1. ნუკრი სახვაძე (გორის უნ.), 2. გიორგი ბერიძე (სპ. აკად), 3. შოთა კიკვაძე (ქუთაისის ტექ. უნ.); ***60 კგ:*** 1. გელა ბარათაშვილი (სპ. აკად.), 2. აკაკი ხანიშვილი (გორის უნ.), 3. მალხაზ კვესაძე (ქუთაისის ტექ. უნ.); ***64 კგ:*** 1. მამუკა სახვაძე (გორის უნ.), 2. იოსებ მამულაშვილი (სპ. აკად.), 3. დავით უსანეთაშვილი (სტუ); ***68 კგ:*** 1. ლევან მარკოზაშვილი (გორის უნ.), 2. ჯაბა ჯახველაძე (აგრ. უნ), 3. ჯაბა ცხოვრებაშვილი (ცხინვალის უნ.); ***72 კგ:*** 1. გიორგი მაისურაძე (გორის უნ.), 2. დავით ღუღუნიშვილი (სპ. აკად), 3. იოსებ მარგველაშვილი (ცხინვალის უნ.); ***78 კგ:*** 1. მიხეილ ჩერქეზიშვილი (სპ. აკად.), 2. ბორის თადუმაძე (გორის უნ.), 3. ფირუზ ტეფშელაშვილი (ქუთაისის სახ. უნ.); ***84 კგ:*** 1. ნიკო ბიბილაშვილი (გორის უნ.), 2. ივანე ნადირაშვილი (თსუ), — 3. ირაკლი ცირეკიძე (ქუთაისის ტექ. უნ); ***90 კგ:*** 1. სოსო პავლიაშვილი (გორის უნ), 2. დავით ტეფშელაშვილი (ქუთაისის სახ. უნ.), 3. მირიან პავლიაშვილი (სპ. აკად); ***მძიმე:*** 1. გიორგი წმინდაშვილი (თელავის უნ), 2. გიორგი ყიზილაშვილი (თსუ), 3. რომეო პეტუაშვილი (გორის უნ.); ***გუნდური შედეგი:*** I ადგილი — გორის უნ., II — სპ. აკად, III — თსუ;

ძიუდო. გორი

60 კგ: 1. ვახტანგ ხოსიტაშვილი (სტუ), 2. დავით ჯავახიშვილი (სპ. აკად), 3. აკაკი ხანიშვილი, ალექსანდრე გუჩმაზოვი (ორივე — გორის უნ); ***66 კგ:*** 1. მანუჩარ მურადაშვილი (გორის უნ), 2. ზეზვა ებელაშვილი (სტუ), 3. არჩილ შათირიშვილი (თსუ), ბესიკ ორბელაძე (სტუ); ***73 კგ:*** 1. დავით მარგოშვილი (თსუ), 2. გიორგი თადუმაძე (გორის უნ.) 3. გიორგი ნადირაშვილი (სპ. აკად), დავით ქევხიშვილი (თსუ, სოხუმის ფილიალი); ***81 კგ:*** 1. ნიკო ბიბილაშვილი (გორის უნ), 2. ფირუზ ტეფშელაშვილი (ქუთაისის სახ. უნ), 3. კახა მურაჩაშვილი (ცხინვალის უნ.), ივანე ნადირაშვილი (თსუ); ***90 კგ:*** 1. ზურაბ ზვიადაური (სპ. აკად.), 2. მინდია ბოდაველი (სტუ), 3. ივანე გოგიშვილი (თსუ), სოსო პავლიაშვილი (გორის უნ.); ***100 კგ:*** 1. გიორგი ყიზილაშვილი (თსუ), 2. გიორგი ჩადუნელი (პოლ. აკად), 3. რომეო პეტუაშვილი (გორის უნ.), ენრი კობახიძე (თსუ, სოხუმის ფილიალი); ***მძიმე:*** 1.ზვიად ხანჯალიაშვილი (სპ.აკად), 2. ლაშა ფეიქრიშვილი (თსუ), 3. მიხეილ ჩხეიძე (თსუ, სოხუმის ფილიალი) ალექსანდრე ბოლქვაძე (პოლ. აკად); ***გუნდური შედეგი:*** I — გორის უნ, II — თსუ, III — სპ. აკად.

იური იმერლიშვილი

მძლეოსნობა. თბილისი



ზ. ბალბაშვილი

კაცები: 100 მ. რ. რუსიძე (თსუ) — 10,3, ბ. ბადრიძე — 10,7, დ. ილარიანი (ორივე — სპ. აკადემია) — 11,3-11,1; ***400 მ:*** ბ. ბადრიძე — 49,7, რ. მანკიანი (სპ. აკად.), გ. ჩხაპელია (თსუ); ***1500 მ:*** ზ. ზილბერშტეინი (თსუ) — 4.02,1, ა. პოზივაილო (სპ. აკად), გ. შეკერელაძე (თსუ) — 4.38,4; ***4X100 მ:*** სპორტ. აკად, თსუ, სტუ ***ხიგრძე:*** დ. ილარიანი — 7,01, ს. ტურიატკო (სპ. აკად) — 6,97, ა. ბედუკაძე (სტუ) — 6,12; ***მირთვი:*** რ. ჭინჭარაული — 13.70, გ. ჩიბურდანიძე (ორივე — სპ. აკად) — 13,28, გ. ზაქარიაშვილი (აგრ. უნ) — 12,78; ***ქალები. 100 მ:*** ა. ტოროსიანი — 12,5, მ. შულაია (ორივე — სპ. აკად) — 12,8, ი. დუბინა — 12,9; ***400 მ:*** ა. ტოროსიანი — 55,7; ი. დუბინა — 59,8, ჭ. აბრამიძე (თსუ) — 59,9; ***800 მ:*** ჭ. აბრამიძე — 2,26,0, ნ. გუთანაიძე — 2,30,0, ი. ტოგონიძე (ორივე — სპ. აკად) — 2,41,9; ***4X100 მ:*** სპ. აკად, თსუ, ბათუმის სახ. უნ. ***მირთვი:*** მ. ობოლაშვილი — 13,02, ჭ. კოპალეიშვილი — 11,62 (ორივე — სპ. აკად), ნ. ძიძიშვილი (თსუ) — 9,80; ***ხიგრძე:*** ი. დარახველიძე — 5,32, მ. ობოლაშვილი — 5,31, მ. შულაია (სამივე — სპ. აკად); ***გუნდური:*** 1. სპ. აკად — 644 ქულა, 2. თსუ — 499, 3. სტუ — 282.

მილოცვები

ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზაღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლა და მისი დირექტორი ელდარ ფარჯანაძე დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს იმავე საქალაქო სამსახურის საორგანიზაციო და მასობრივი მუშაობის, განყოფილების უფროსს ***მარინა თარხნიშვილს.***

* * *

გაზეთ „ლელოს" რედაქცია დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს საქართველოს სპორტული მოძრაობის ერთგულ და დღეწყმოსილ მუშაკს, ქალბატონ ***მარინა თარხნიშვილს.***

საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები

მზია ჯუღელიდან – უსასრულობისაკენ

ჯერჯერობით მიუგნებელია უტყუარი წყარო, რომელიც დაამტკიცებდა ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში ქართველთა ტომების წარმომადგენელთა მონაწილეობას. მაგრამ ისეთი გარემოცვა და იმ ისტორიული ურთიერთობების ფონი, რომელიც ჩვენს წინაპრებს უპირველესად ახლო გარესამყაროსთან აკავშირებდა, სარწმუნო ფაქტების მომავალში მოკვლევას, სულაც არ გამორიცხავს.

არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს მოსაზრება, რომ „ანტიკური სამყარო კარგად იცნობდა, ბევრ ქართველ ან შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთ, როგორც მოწინავე ათლეტებს“.

ცნობილია, რომ ქალები თავდაპირველად ოლიმპიურ თამაშებში არ მონაწილეობდნენ, მეტიც, მათ ამ სანახაობის ხილვის უფლებაც არ ჰქონდათ. თავისთავად იგულისხმება, რომ იმ შორეულ წარსულში, ჩვენი ქალებისთვისაც სპორტულ სარბიელზე ასპარეზობა უცხო იყო. თუმცა, ლეგენდა ამაზონებზე, მათ ფიზიკურ და სამხედრო მომზადებაზე, უდავოდ იძლევა საზრდოს განსჯისთვის. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამონარიდს პროფესორ ავთანდილ ციბაძისა და დავით კინწურაშვილის წიგნიდან „ოლიმპიზმი საქართველოში“: „შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მებრძოლი ამაზონი ქალები, რომლებიც მამაცი მებრძოლები არიან და ტანვარჯიშობას ძალიან მისდევენ (ენვაპე კესარიელი, 260-340 წ.წ., იხ. ს. ყაუხჩიშვილის გეორგიკა, ტ. I, გვ. 28), ბერძნულმა ლეგენდებმა საქართველოს მთიანეთის მკვიდრებად გამოიყვანეს. როგორც ჩანს, ლეგენდის ავტორებმა ჩათვალეს, რომ ასეთი საოცრად გავარჯიშებული ქალები ისეთი მაღალი სპორტული კულტურის ქვეყანაში უნდა გაზრდილიყვნენ, როგორიც საქართველო იყო“.

დიახ, ჭეშმარიტად მაღალი კულტურის ქვეყანას, ადრე თუ გვიან, აუცილებლად უნდა წარმოეჩინა ქალი, რომელიც ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველი შედგამდა ფეხს და თავის ქვეყანას მთელ სამყაროს გააცნობდა.

მრავალსაუკუნოვანი ოცნება, 1952 წელს, ჰელსინკში, ასრულდა. ისტორიის თავფურცელზე ოქროს ასოებით ჩაიწერა – პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი ქალის გვარსახელი – მზია ჯუღელი! მაგრამ ჰელსინკამდე საუკუნეები და ერთი ქართველი ქალის ცხოვრების 26 წელიწადი, 11 თვე და 21 დღე იყო გასავლელი. ამ ათვლას აქვს კიდევ ერთი კონკრეტული და უფრო ადრეული თარიღი – 1933 წლის 21 სექტემბერი.

მზია მაშინ 8 წლის იყო, მეორე კლასში სწავლობდა, გურჯაანში, სადაც მისი მშობლები ქუთაისიდან გადავიდნენ სამუშაოდ. ბუნებით დაუდეგარი გოგონა, თუ მერხთან არ იჯდა, ვერცხლის წყალივით მოძრაობდა, გაკვეთილი დამთავრდებოდა თუ არა, სკოლის ეზოში გაიჭრებოდა, ყველაზე თავისუფლად იქ გრძნობდა თავს, იქ ერთნაირად შეიძლებოდა სულის და სხეულის გალაღება. იმ დღესაც, შესვენებაზე, როგორც კი დერეფანი გაიქროლა და ეზოში გაიჭრა, უმალვე ხის ტოტზე ჩამოკიდებულ ტანვარჯიშულ რგოლებს შეაფრინდა და ქანების კასკადი შეასრულა.

მაშინ ფიზკულტურის გაკვეთილებს დაწყებითი კლასების მასწავლებლები თავად ატარებდნენ. მეცადინეობა, ძირითად, გასართობი თამაშებით შემოიფარგლებოდა. პატარა მზია გაკვეთილის „ულუფით“ არასდროს კმაყოფილდებოდა. აი, სკოლის ეზოში ჩამოკიდებული ის რგოლები კი განსაკუთრებით ამოიჩემა.

ახალი სასწავლო წელი სულ რაღაც სამი-ოდე კვირის დაწყებული იყო. რგოლებზე მოქანავე გოგონას სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა შეავლო თვალი. გამოცდილი სპეციალისტი შალვა ბოსტაშვილი გაოცებული დარჩა. უმალვე იგუმანა ამ კაცმა ბავშვის სპორტული მონაცემები. იმ დღიდან თვალი არ მოუშორებია ხალისიანი და ენერგიული მოზარდისთვის, თუმცა, თავს იკავებდა, ჯერ ნაადრევად მიიჩნევდა ბავშვური აზარტის სპორტის არტახებში მოქცევას.

... დედა სტომატოლოგი იყო, მამა – თერაპევტი. კახელები ალალად, გულწრფელად ემადლიერებოდნენ მათთან სამუშაოდ ჩასულ ცოლ-ქმარს. ეს ოჯახი ინტელიგენციის შემაკავშირებელიც იყო, მათთან თავს იყრიდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

„მამას გასაოცრად უყვარდა ჭადრაკი, გურჯაანელთა ამ ბრძნული თამაშით სერიოზული გატაცებაც მის სახელს უკავშირდება, თავად, თურმე, ხშირად გვიან ღამემდე თამაშობდა რკინიგზის სადგურის უფროსთან, როგორც თავად უთქვამს, „ყველაზე საინტერესო მოჭადრაკესთან მთელს გურჯაანში“.

მზიას მამას უაღრესად კეთილშობილი კაცის სახელი დაუგდია რაიონში. არ იყო დალხინებული ცხოვრება, ხალხს ჯერ კიდევ უჭირდა. შორეულ სოფლიდანაც კი ურმით თუ სახედრით ჩაყავდათ ავადმყოფები გურჯაანში. ბევრისთვის ან წამალი მიუცია უფასოდ ან ფული მის შესაძენად, კონსულტაციის და მკურნალობის გასამრჯელოზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი.

მზია ჯუღელი: „პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს შემოდგომაზე ჩვენი სახლის წინ ურმების და სახედარშებმული საზიდრების რიგი დგებოდა. მადლიერ გლეხებს ჭირნახული მოჰქონდათ. ეს იმდენად გაწეული შრომის ნატურით საზღაური არ იყო, რამდენადაც სიკეთის დანახვა, უფრო საბაბი იყო ადამიანური სითბოს გამოსავლენად“.

ტანვარჯიშის ის რგოლები, ზემოთ რომ ვახსენეთ, შალვა ბოსტაშვილმა თბილისიდან ჩაიტანა და, როგორც ამბობენ, ასეთი რამ მანამდე არც ერთ მოზარდს არ ეხილა მთელს რაიონში.

მასწავლებელს რაღაცით ხომ უნდა დაეწყო. ის კარგად იცნობდა ბავშვების ბუნებას – ფეხბურთი, კალათბურთი, ფრებურთი სხვაა, აქ არავის ეზარება ჩაერთოს თამაშში, მით უფრო თუ იგი შეჯიბრების ხასიათისაა. მაგრამ სპორტული ტანვარჯიშით, თანაც მაშინ ამ კუთხისთვის თითქმის სრულიად „უცნობილი ხილით“, როგორ გინდა სერიოზულად დააინტერესო მოზარდი? ფიზაღზრდის ყველა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ სადაც შეჯიბრების ელემენტს შეიტანთ, ბავშვები გამოგყვებიან. და აი, ერთ დღეს შალვა მასწავლებელმა გამოაცხადა, რომ ატარებდა კლასების შეჯიბრებას რგოლებზე „ჩამოკიდებაში“. ასე შეარქვა მასწავლებელმა მარტივ, მაგრამ სპეციალისტისთვის მოზარდის სპორტული ნიჭის შეფასების ილეთს.

„სიმართლე გითხრათ, ეს შეჯიბრება უფრო იმ მოუსვენარი გოგოსთვის მოვიგონე, ხშირად რომ უტრიალებდა რგოლებს და რაღაცეებით თავისით ერთობოდა“ – იტყვის რამდენიმე ათეული წლის შემდეგ შალვა ბოსტაშვილი.

ბავშვების სიხარული უსაზღვრო იყო. ყველა ცდილობდა უკეთ შეესრულებინა დავალება, შეჯიბრებას ხალისს მასწავლებლის შექება მატებდა. მზიას ჯერიც დადგა. პირველი, რაც შალვა მასწავლებელმა შენიშნა და ძალიან ესიამოვნა, რგოლებთან მისვლის წინ მზიას სერიოზული გამომეტყველება იყო. ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. ანცი გოგონა წარმოუდგენლად დინჯად, მობილიზებული მივიდა რგოლებთან და ვარჯიში თავდაჯერებულად შეასრულა. თუმცა: „შინაგანად ძალიან ვღელავდი, ასეთი რამ არასდროს განმიცდია, მაგრამ გარეგნულად ეს არავის შეუმჩნევია“, – მოიგონებს იმ პირველ განცდას, წლების შემდეგ უკვე საყოველთაოდ აღიარებული ტანმოვარჯიშე.

მზია ჯუღელმა ის პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა. თანატოლებში აშკარად უკეთესი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად იმან გაახარა, რომ საკუთარ თავს აჯობა, ისე გამოუვიდა, ყველაფერი როგორც ჩაიფიქრა, ვიდრე უპირველესად რგოლებს, და არა თანატოლებს გაეჯიბრებოდა. თუმცა, შინაგანად მაინც გრძნობდა, რომ ნებისმიერ თამაშში მხოლოდ პირველი სურდა ყოფილიყო მუდამ.

მშობლებს არც კი უფიქრიათ, გოგონა სპორტის რომელიმე სახეობაში დაოსტატებულიყო. ბავშვის მრავალმხრივ გატაცებას, ვთქვათ, მძლეოსნობის თუ მოცურავეთა შეჯიბრებებში მონაწილეობას, ტანვარჯიშზე აღარაფერს ვამბობთ, ოჯახის უფროსები ბავშვურ გატაცებად მიიჩნევდნენ. არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა ყველაფერი, თავად ცხოვრებას, ოჯახის ტრაგიკულ ბედს რომ არ შეეტანა კორექტივი ბავშვის მომავალში.

თენგიზ ბაჩეჩილაძე

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „ლელო“ №40

სად არის მაშველი რგოლი?

ანუ იმის შესახებ, თუ როგორ გავატანეთ წყალს სპორტის სანყლოსნო სახეობები

საქართველომ ბევრ რამეში, თუ ყველაფერში არა, მთელი 50 წლით მაინც დაიხია უკან. სპორტის წყალთა სახეობებში – 70-80 წლით. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში არ იყო საცურაო აუზები, ნაკლები ყურადღება ექცეოდა სპორტის საწყლოსნო სახეობებს, უპირველესად ცურვას. ფაქტობრივად, მაშინ აღიზარდა ცურვის უცოდინარი თაობა, რაც ტრაგიკულად დაუბრუნდა ქართველ ერს – მეორე მსოფლიო ომში ათი ათასობით ქართველი მეომარი წყალმა იმსხვერპლა. თუნდაც ქერჩი გავიხსენოთ.

სამწუხაროდ, დღესაც გვეზრდება თაობა, რომელმაც ცურვა არ იცის. ეს კი ხდება იმ ქვეყანაში, სადაც წყლის ნაკლებობას ნამდვილად ვერ დავიჩივლებთ. წყალუხვი თუ შედარებით მცირე მდინარეები საქართველოს ყველა კუთხეში გვხდება, დაუმატეთ ამას ტბები და წყალსაცავები, შავი ზღვის ზოლი, რომელიც ასეულ კილომეტრზე აკრავს ქვეყანას. მოწადინების შემთხვევაში, უამრავი ხელოვნური საგუბარის მოწყობა შეიძლება ბავშვებისთვის, ნებისმიერ სოფელში.

გასული საუკუნის ბოლო 25 წელიწადში ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა ცურვის მასობრივად შესწავლის საკითხის მოსაგვარებლად. ლამის რეალობად იქცა დევიზი: „ცურვა ფეხის ადგმამდე“. სასკოლო ასაკის მოსწავლეთა სრული კონტიგენტი არა, მაგრამ დიდი ნაწილი წყლის სამყაროს სკოლებში დანერგილი ცურვის გაკვეთილებითაც ეზიარა, რასაც ხელი შეუწყო სასკოლო და სასკოლათაშორისო აუზების მშენებლობამ, აღარაფერს ვამბობთ სპორტულ ბაზებზე და საუწყებო საცურაო აუზებზე. გავიხსენოთ, როგორ დაკანონდა, რი ? არც ერთი ახალი სკოლა არ უნდა აგებულიყო ბავშვთა საცურაო აუზის გარეშე, ცურვა კი – ფიზაღზრდის პროგრამაში შევიდა. რა ვითარებაა დღეს? ქვეყნის 140-მდე საცურაო აუზი, გარდა ერთი-ორისა, უმოქმედოდაა. მთელი დატვირთვა „ლაგუნა-ვერეს“ კომპლექსს დააწვა. ეს თბილისზე და ამ კომპლექსთან ახლომდებარე ქალაქის რაიონებზე ითქმის, თორემ, მასობრიობაზე ლაპარაკი ზედმეტია. რეგიონებიდან მხოლოდ გორში გამოიჩინეს მზრუნველობა და ადგილობრივი ხელმძღვანელების დახმარებით, აუზი აამუშავეს. საგანგაშოა, რომ ჯარში სამსახურს ახალგაზრდობის უმრავლესობა ისე იწყებს, წყალთან შეხება საერთოდ არ ჰქონია, არც ცურვა არ იცის. ამას წინათ, სამხედრო აკადემიის კურსანტები სწვევიან „ლაგუნა-ვერეს“, ცურვის შესწავლაში დახმარება საკუთარი ინიციატივით უთხოვიათ, 20 კურსანტი თურმე საერთოდ ვერ იკავებდა თავს წყალზე.

ძველ ბერძნებს შესაბრალად მიაჩნდათ ადამიანი, რომელმაც კითხვა და ცურვა არ იცოდა. განა ჩვენი ეროვნული ტრაგედია არ არის ის, რომ XXI საუკუნეში ფაქტობრივად ცურვის უცოდინარი და არა მხოლოდ ცურვის, წერა-კითხვის არმცოდნე მოზარდებიც კი გვეზრდება?

„ლაგუნა-ვერე“ კვლავაც მზადაა, არ უღალატოს ტრადიციას და ზაფხულის არდადეგების პერიოდში ტრადიციისამებრ მოიწვიოს მოზარდები ცურვის შესასწავლად ორგანიზებულად“ – თქვა ამ კომპლექსის დირექტორმა ვლადიმერ გოიაშვილმა ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე.

თბილისის ხელმძღვანელობა, პირადად ქალაქის მერი ვანო ზოდელავა, ის კაცია, რომლის გარჯა დედაქალაქელთა საკეთილდღეოდ, მოსახლეობაში პატივისცემას იმსახურებს. კარგი იქნებოდა თუ მერია, შესაბამის სამსახურებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისგან, ცხადია, ფედერაციის ჩათვლით, საკოორდინაციო საბჭოს შექმნის და 2001 წლის ზაფხულს

ბავშვებისთვის „ცურვის შესწავლის ზაფხულად“ გამოცხადდება. ალბათ ახლავე უნდა მოეწყოს დედაქალაქის უბნებში საჭყუმპალაოები, ფედერაციამ ჩაატაროს ინსტრუქტორთა მომზადების სემინარი, როგორც ეს ადრე ხდებოდა. რაღა თქმა უნდა, ყველა მოქმედ აუზზე უნდა გამოიყოს დრო მოზარდებისთვის, მოსაგვარებელია სასკოლო და სხვა აუზების თუნდაც იჯარით გაცემის და ამოქმედების საკითხი. თბილისს, ვფიქრობთ, ქვეყნის სხვა ქალაქებიც მიბაძავენ.

მოკლედ, უნდა დავიძრათ, მივდგეთ და მოვდგეთ, გავიხედოთ და გამოვიხედოთ, იქნებ წლეულს მაინც, მინიმუმამდე დავიყვანოთ, უმჯობესია, ცხადია, სრულაც გამოვრიცხოთ, ზაფხულში წყალზე უბედური შემთხვევები, რასაც ძირითადად ცურვის არცოდნა იწვევს.

გვახსოვდეს, ცურვა ადამიანის მეორე სიცოცხლეა! აჩუქეთ იგი ბავშვებს და ის შემდგომში სხვის სიცოცხლესაც იხსნის წყალზე ხიფათისაგან, ქვეყანასაც ხომ უკეთესი დამცველები ეყოლება.

თ. თომაშვილი,

გაგრძელება იქნება

დამთავრდა აჭარის სტუდენტური თამაშები

როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მინიფეხბურთელთა შერკინებამ, ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აჭარის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური კოლეჯის გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2-2. ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა გამარჯვებული, პენალტების სერიით გიმარჯვეს კოლეჯის ფეხბურთელებმა — 5-2. მესამე ადგილზეა მრავალდარგობრივი სამეცნიერო ცენტრის გუნდი.

მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა სპორტის ოსტატმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ვერიკო ბარამიძემ გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო პედაგოგიური კოლეჯის სტუდენტს დიანა ჩარგეიშვილს — 2-0, მესამე პრიზიორი გახდა საზღვაო აკადემიის სტუდენტი ეკა ჩიქოვა.

ვაჟთა თანრიგში პირველი იყო პედაგოგიური კოლეჯის სტუდენტი ბორის ჯაზულაშვილი, მეორე — მისი თანაგუნდელი ალექსანდრე მურა_ოვი, მესამე — ჯაბა დოლიძე (მრავალდარგობრივი კოლეჯი). არანაკლები ინტერესი გამოიწვია მოფარიკაჟეთა შეჯიბრებამ. რაპირისტ ქალთა შორის გაიმარჯვა რუსუდან საფარაიძემ, ხოლო ვაჟებში — ირაკლი ჭელიძემ (ორივე — პედაგოგიური კოლეჯი) დაშნაში. პირველობა არავის დაუთმო რუსუდან საფარაიძემ, ვაჟებში უნივერსიადის ჩემპიონი გახდა საზღვაო აკადემიის V კურსის სტუდენტი ზაზა ხაჯიბეკოვი.

ხმლით შეჯიბრებაში გაიმარჯვა გენადი გოგუაძემ (სახელმწიფო უნივერსიტეტი).

მძლეოსანთა შეჯიბრებაში 100 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა პედაგოგიური კოლეჯის წარმომადგენელმა ირმა ზურაბიანმა, ვაჟებში — ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრმა კახა ვაჩეიშვილმა, მისივე გამარჯვებით დასრულდა 400 მეტრზე რბენა (უნივერსიტეტი), ქალთა შორის ამ დისტანციაზე ფინიშზე პირველი მიიპრა მზია ქორთიანი (პედაგოგიური კოლეჯი). 800 მეტრზე ჩემპიონი გახდა ირმა ზურაბიანი, 1500 მეტრზე — შალვა პატარაია (ორივე — პედაგოგიური კოლეჯი).

სიგრძეზე ხტომაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ქრისტინა ორლოვას, ვაჟებში — დავით ჩიჩუას (სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ამანათრბენში 4X100 მეტრზე, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის გაიმარჯვეს უნივერსიტეტის მძლეოსნებმა. გუნდურ ჩათვლაშიც პირველები იყვნენ უნივერსიტეტის სპორტსმენები. ასევე ჭადრაკსა და მკლავჭიდში ტოლი არ ჰყავდათ უნივერსიტეტის ნაკრებს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა:

1. უნივერსიტეტი (რექტორი, პროფესორი ნური ვერძაძე, ფიზაღზრდის კათედრის გამგე ვარდო ბერიძე) — 755 ქულა, 2. პედაგოგიური კოლეჯი (დირექტორი თემურ ჭანტურიშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი რაფიელ ფირცხალავა), 3. მრავალდარგობრივი სამეცნიერო ცენტრი (დირექტორი ოსიკო გვარიშვილი, ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი რომან კაჭარავა).

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი აჭარაში.

საქართველოს თასი • ფინალი

2001 წლის 26 მაისი. თბილისი. სტადიონი „ლოკომოტივი“. 30 000 მაყურებელი.

ლოკომოტივი (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 0–0 (პ. 3–4)

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ბაქრაძე, სალუქვაძე, შელია, ონიანი, გილაური, ჭიჭვეიშვილი, ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი (დათვაძე, 5), კაიდარაშვილი (შენგელია, 92).

ტორპედო: ზოიძე (ტოგონიძე 120). აბრამიძე, ლევან სილაგაძე, ხვადაგიანი, თოდუა, ქემოკლიძე, დიდავა (ჯინჭარაძე 74), კვეტენაძე, იონანიძე, დ. ჯანაშია (ასათიანი 58), აშვეთია.

გააფრთხილეს: ბალაშვილი, შელია, ანჩაბაძე, დათვაძე; სილაგაძე, ქემოკლიძე.

პენალტები გაიტანეს: სალუქვაძემ, შენგელიამ, დათვაძემ; ასათიანმა, იონანიძემ, აშვეთიამ, სილაგაძემ.

მსაჯები: მერაბ მალაღურაძე (თბილისი), ლაშა სილაგავა (თბილისი), გოჩა ბრეგვაძე (ჭიათურა), სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

დელეგატი: ანატოლი მილჩენკო.



„ტორპედომ“ დაიქადნა და შეასრულა...

ქუთაისელებმა დანაქადი დუბლიც შეასრულეს და თასიც იმერეთში წაიღეს. სეზონის დასასრული ქუთათურებს მართლაც რომ ჩემპიონური გამოუვიდათ. ყველაფერი ალაია „ტორპედოზე“.

თასის საფინალო მატჩს შესანიშნავი სანახაობა უძღოდა წინ. ამდენი ხალხი დიდი ხანია „ლოკომოტივზე“ არ შეკრებილა, დედაქალაქს დიდებული სპორტული ნაგებობა, ჩინებული სტადიონი შეემატა, ლამაზი გარემო, ამაღლებული განწყობა, დაუვიწყარი ზეიმი, ყველაფერი ეს თანამდევი იყო ფინალური მატჩისა.

მეტოქეები მშვენივრად იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ მატჩი მაინც ფრთხილად დაიწყეს. „ლოკომოტივი“, რომელიც ნაკრებში თბილისში მოემზადება. გუნდი კვირას „საირმეში“ დაბინავდა.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

ბურთს ფლობდნენ, მაგრამ „ტორპედო“ გაცილებით სახიფათოდ უტევდა. მატჩის დასაწყისში რკინიგზელებმა სერიოზული შემტევი ძალა დაკარგეს, გუნდის კაპიტანმა გოგიჩაიშვილმა შეხვედრის გაგრძელება ვეღარ შეძლო. შეცვლაზე გამოსულ დათვაძეს კი ნამდვილად არაფერი გაუფუჭებია, პირიქით, იგი საუკეთესოდ გაისარჯა და, რაც „ლოკომოტივმა“ სახიფათო ეპიზოდები შექმნა, ძირითადად მისი დამსახურება იყო. სტუმართაგან კვეტენაძეს და აშვეთიას ბევრჯერ შეეძლოთ მატჩის სურათი მკვეთრად შეეცვალათ, მაგრამ ლომაიას კარს გასაღები ვერ მოარგეს. პირველ ტაიმში აშკარა საგოლე მომენტი სწორედ აშვეთიამ გაუშვა ხელიდან, მისი ახლოდან დარტყმული ბურთი ლომაიამ ფეხით კუთხურზე უკუაგდო. წლევანდელ და შარშანდელ ფინალებს შორის ანალოგიურიც და განმასხვავებელიც შეიძლება მოუძებნო. მოპაექრეთა იგივე შემადგენლობა, ისევ პენალტებით გამოვლენილი გამარჯვებული, ამავე დროს შარშანდელთან შედარებით, „ტორპედოს“ მეტოქეზე მეტი ფიზიკური ძალა აღმოაჩნდა და უფრო აქტიურობდა მატჩის მიწურულს. თუმცა, მოასპარეზეთა მცდელობას ანგარიში შეეცვალათ, შედეგი არ მოჰყოლია. თასის მფლობელი ისევ პენალტებს უნდა გაერკვია. დამატებითი დროის დასრულებას აღარაფერი აკლდა — „ტორპედოს“ თავკაცებმა ზოიძე ტოგონიძით შეცვალეს, ამან იმოქმედა თუ „ტორპედოს უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა, ფაქტია, სტუმრებმა ამჯერად უკეთ შეასრულეს პენალტები და იღბალიც მათ მხარეს იყო. სერია სალუქვაძემ დაიწყო. და ბურთი ცხრიანში გაგზავნა, ასათიანის დარტყმაც უნაკლოა, რკინიგზელთა მცველის ბალაშვილის დარტყმა კი ძელს ხვდება. იონანიძე და შენგელია აუღელვებლად ასრულებენ მოვალეობას, აშვეთიაც ზუსტია. მეკარეთა ჯერიც დადგა. ჭიჭვეიშვილის დარტყმული ბურთი ტოგონიძის საკუთრებაა. დათვაძემ მატჩშიც ივარგა და პენალტიც ჩინებული დაარტყა, მერე ლომაიამაც იმარჯვა, ჯინჭარაძეს აუღო. კვეტენაძემ სულაც კარს ააცილა, გილაურმა ტოგონიძეს პირდაპირ ხელებში დაურტყა, მეკარემაც მოიგერია. ბოლო სიტყვა ლევან სილაგაძეს უნდა ეთქვა. თქვა კიდეც. ტორპედოელის გოლი ოქროსი გამოდგა.

ყოფიანმა შარშან წაგებული თასი დაიბრუნა, ძოძუაშვილმა შარშან მოგებული წლეულსაც შეინარჩუნა, ამჯერად ტორპედოსთან ერთად. ჩემპიონმა თასიც შინ წაიღო. მოკლედ, „ტორპედო“ წლეულს ყველგან პირველი და საუკეთესოა.

მიხეილ საბახტარიშვილი

ბოლო და გადამწყვეტი

დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, თასსაც თავისი მფლობელი ჰყავს, ჩემპიონიც ვიცით და ლიგებში აღზევებულ-დაქვეითებულიც, მაგრამ სეზონი გრძელდება. გრძელდება სანაკრებო შეკრებებით და მატჩებით. ჩვენს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებს ორი რთული გამოცდა აქვთ ჩასაბარებელი, ჯერ შინ იტალიელებთან, მერე უნგრეთში სტუმრად. სამწუხაროდ, ორივე ნაკრებს მატჩების წინ პრობლემები შეექმნათ. ეროვნულს — კახა კალაძის ოჯახში არსებული ვითარება თრგუნავს ფსიქოლოგიურად, მისი ძმის ლევანის გვუჩინარებისა და ადგილსამყოფელის ვითარება და ადგილი ჯერ კიდევ გაურკვეველია (ლეკიანობა ახლა საფეხურთო სამყაროსაც გადასწვდა). ეროვნულ ნაკრებში არ იქნებიან ჯამარაული და ჯანაშია, გვარამაძის საკითხიც გაურკვეველია. გუნდი ნელ-ნელა იკრიბება. კალაძე გუშინ შეუერთდა გუნდს. აი ვის უხმეს ძოძუაშვილმა და ყოფიანმა: ***მეკარეები*** — ირაკლი ზოიძე (ტორპედო), დავით ხმელიძე (როსტსელმაში), დავით გვარამაძე (უგუნდოდ). ***მცველები*** — ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი), გიორგი შაშიაშვილი (დინამო თბ), ლევან სილაგაძე, სევასტი თოდუა, რევაზ ქემოკლიძე (ყველა — ტორპედო), კახა კალაძე (მილანი), ვალერი აბრამიძე (ტორპედო). ***ნახევარმცველები*** — ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი), ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი (ორივე — სკონტო), გიორგი ქინქლაძე (დერბი), თემურ ქეცბაია (ვულვერჰემპტონი), გიორგი გახოკიძე (ჰსვ), გიორგი ნემსაძე (დანდი), მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი); ***თავდამსხმელები*** — შოთა არველაძე (აიაქსი), არჩილ არველაძე (კიოლნი).

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ვახტანგ კოპალეიშვილმა 18 ფეხბურთელი გამოავლინა, რომლებიც მატჩებისთვის მოემზადებიან. გუნდმა საკონტროლო მატჩი გამართა „ვიტ ჯორჯიასთან“. 29 მაისს სასტუმრო „მონოპოლში“ დაბინავდება და ივარჯიშებს: ***მეკარეები*** — მირზა მერლანი (ვიტ ჯორჯია), გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), ***მცველები*** — ედიკ საჯაია, ჯაბა მუჯირი (ორივე — ვიტ-ჯორჯია), ოთარ ხიზანიშვილი (სპარტაკი, მოსკოვი), ვლადიმერ კაკაშვილი (ლოკომოტივი, მოსკოვი), ოლეგ გველესიანი (დინამო ბათუმი), იოსებ დევიძე (მერანი); ***ნახევარმცველები*** — დავით დიღმელაშვილი, ლაშა ნოხაძე (ორივე — ვიტ ჯორჯია), მალხაზ ასათიანი (ტორპედო), ლადო ბურდული (დინამო თბ), ლევან გვაზავა (ზიმბრუ), ლევან კორღალიძე, გივი კვარაცხელია (ორივე — სკონტო), ***თავდამსხმელები*** — ლევან მელქაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი იმედაძე (ტორპედო), ლადო ახალაია (ზიმბრუ); ნაკრებს ტრავმის გამო ისევ ვერ დაეხმარება ლაშა ჯაკობია.

ახლა „იტალიელებისა“ ვთქვათ. დელეგაცია 31 მაისს ჩამოფრინდება, დაბინავდება „მეტეხი პალასში“. ეროვნული ნაკრები 1 ივნისს ივარჯიშებს. ჯოვანი ტრაპატონი ქართველების წინააღმდეგ შემდეგ ფეხბურთელებს გამოიყვანს: ***მეკარეები*** — ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ***მცველები*** — პაოლო მალდინი (მილანი), ალესანდრო ნესტა, ჯუზეპე პანკარო (ორივე — ლაციო), ფაბიო კანავარო (პარმა), ვალერიო ბერტოტო (უდინეზე), მარკო მატერაცი (პერუჯა); ***ნახევარმცველები*** — ფრანჩესკო კოკო (მილანი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ფაბიო ლივერანი (პერუჯა), ალესიო ტაკინარდი, ჯანლუკა ძამბროტა (ორივე — იუვენტუსი), დამიანო ტომაზი, ფრანჩესკო ტოტი (ორივე — რომა), ლუჩანო ძაური, დამიანო ძენონი (ორივე — ატალანტა), ***თავდამსხმელები*** — კრისტიან ვიერი (ინტერი), ვინჩენცო მონტელა (რომა), ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (ორივე — იუვენტუსი).

იტალიელთა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა კლაუდიო ჯენტილემ 20 ფეხბურთელს მოუყარა თავი: ***მეკარეები*** — ივანე პელიცოლი (ატალანტა), ჯენეროზო როსი (ვენეცია); ***მცველები*** — მატეო ფერარი (ინტერი), ალესანდრო გამბერინი (ბოლონია), ანტონიო ბოკეტი (ნაპოლი), დანიელე ბონერა (ბრეშა), პაოლო კასტელინი (ტორინო), სტეფანო ლუკინი (ტერნანა); ***ნახევარმცველები*** — მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მასიმო დონატი (ატალანტა), ენცო მარესკა (ბოლონია), ჯუზეპე კოლუჩი (ვერონა), სალვატორე ვიკარი (რეჯინა), სამუელე ოლივი, ნიკოლა კამპედელი (ორივე — სალერნიტანა), ნიკოლა კორნეტი (სიენა).

ორივე მატჩი ეროვნულზე გაიმართება. ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი 20.15 საათზე დაიწყება. მას პორტუგალიელი მსაჯები გაუძღვებიან: მთავარი მსაჯი — პაულუ მანუელ გომეშ კოშტა, ასისტენტები — ბერტინო კუნია მირანდა, სერაფიმ ბაია ნოგეირა, მეოთხე მსაჯი — მარიუ მორეირა დუშ სანტუში, მატჩის დელეგატია თურქი ჩელიკ საბრი.

ეროვნულ ნაკრებთა მატჩი 21 საათზე დაიწყება. მას ესპანელი მსაჯები მოემსახურებიან. მთავარი მსაჯი — გონსალეს იტურალდე, ასისტენტები ალონსო გერერო, რივერა ჩირინო, მეოთხე მსაჯი სატიაგო როდრიგესი, მატჩის დელეგატია ინგლისელი კენეტ რიდენი, მსაჯების ინსპექტორია ჩელიკ საბრი (თურქეთი). ამ მატჩების შედეგები ალბათ საბოლოოდ განსაზღვრავს ქართული გუნდების შემდგომ პერსპექტივებს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ციკლში.

მიხეილ საბახტარიშვილი

გადასასვლელი მატჩი

27 მაისი. სტადიონი „შევარდენი“. 2000 მაყურებელი

დილა (გორი) — სამგურალი (წყალტუბო) 0–2

დილა: სოღოლაშვილი, აკოფიანი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია, საყვარელიძე (დ. მაისურაძე 46), რევაზიშვილი, თაყაძე (ბოკერია 65), ხორგუაშვილი, ეჯოშვილი.

სამგურალი: ბოდოკია, ქობულაძე, ჭელიძე, ფრანგიშვილი, ბერაძე, დარსაძე, თურმანიძე, ღონღაძე, მ. ჯინჭარაძე, (კოპალიანი 68), კიკვიძე, ქუთათელაძე (კვირნაძე 75).

გოლები: 0-1 კიკვიძე (11), 0-2 ღონღაძე (პ. 86)

გააფრთხილეს: ფრანგიშვილი (27), ბერაძე (33), ბოდოკია (37), თურმანიძე (77), საყვარელიძე (29), ხაჭაპურიძე (49), აკოფიანი (54), მაისურაძე (86).

გააძევეს: აკოფიანი (87), ჭელიძე (87), თურმანიძე (89), მაისურაძე (89).

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი).

წყალტუბოში, გორის ნაცვლად

XIII ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში ერთბაშად სამი დებიუტანტი ითამაშებს. „გურია-ლოკ2“, (ლანჩხუთი), „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „სამგურალი“ (წყალტუბო). ეს „დილასა“ და „სამგურალის“ გადასასვლელი მატჩის შემდეგ გახდა ცნობილი. უმაღლეს ლიგელმა პირველ ლიგელს ვერაფერი დააკლო და ქართულ საფეხბურთო ელიტაში გზა დაუთმო. მატჩმა დაძაბულ, უშედავათო ბრძოლაში ჩაიარა, რასაც გაფრთხილებებისა და გაძევების სიმრავლეც ადასტურებს. შეხვედრის დიდი ნაწილი წყალტუბოელთა ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობით წარიმართა, რაც ანგარიშში აისახა. ერთწლიანი შესვენების შემდეგ „სამგურალი“ ისევ უმაღლეს ლიგაშია. 2001/2002 წლების ეროვნული ჩემპიონატში პირველობისთვის იბრძოლებენ:

ტორპედო, ლოკომოტივი, დინამო (თბ), ვიტ ჯორჯია, კოლხეთი 1913, მერანი 91, დინამო (ბთ), სიონი, გორდა, გურია – ლოკ2, მეტალურგი, სამგურალი.

ბავშვთა ლიგა

VIII ტური

ლოკომოტივი — ხალიბი 1-0
შევარდენი — ლაზიკა 3-1
ავაზა — ტონთიო 1-0
შევარდენი06 — მთვარის გლობუსი 1-1
ვაკე91 — კოლხეთი 2-1
კახეთი — დინამო 0-2

IX ტური

დინამო — ლოკომოტივი 1-1
კოლხეთი — კახეთი 4-1
მთვარის გლობუსი — ვაკე91 6-1
ტონთიო — შევარდენი06 1-3
ლაზიკა — ავაზა 2-3
ხალიბი — შევარდენი 2-0

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბ)	8	5	2	1	10-8	17
ხალიბი	8	5	1	2	16-6	16
ვაკე 91	9	5	0	4	13-14	15
შევარდენი	9	4	3	2	10-8	15
შევარდენი 06	9	4	3	2	15-8	15
ლოკომოტივი	9	4	3	2	10-11	15
კოლხეთი	9	4	2	3	12-10	14
მთვარის გლობ.	9	3	2	4	12-10	11
ავაზა	9	3	2	4	11-10	11
კახეთი	9	3	1	5	9-16	10
ტონთიო	9	2	0	7	15-20	6
ლაზიკა	9	1	1	7	7-19	4

გიწვევთ საიუბილეო ტურნირზე

